



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დათუაშვილი პაატა ნასყიდას ძე

დათუაშვილი პაატა ნასყიდას ძე (5. VIII. 1954, ყვარელი, - 25. I. 1995, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), გენერალ-მაიორი (1992).

დაამთავრა თბილ. უმაღლესი სამხ.-საარტ. სამეთაურო სასწავლებელი (1975), მოსკ. მ. კალინინის სახ. სამხ.-საარტ. აკადემია (1988). 1975-85 მსახურობდა ბელორუსიის სამხ. ოლქში, გერმანიაში საბჭ. ჯარების ჯგუფში, თურქმენეთის სამხ. ოლქში, ავღანეთში. 1988-90 ბაიკალისპირეთის სამხ. ოლქში მეთაურობდა რეაქტიულ დივიზიონს.

90-იანი წლების დამდეგს დ. თანამებრძოლებთან ერთად სათავეში ედგა საქართველოში შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესს. 1991 დაინიშნა საქართვე. რესპ. ეროვნ. გვარდიის არტილერიის უფროსად. 1992-იდან იყო საქართვე. რესპ. შეიარაღებული ძალების მთ. შტაბის უფროსის მოადგილე, 1992-93 მე-2 მექანიზებული კორპუსის მეთაური. 1993-94 იყო საქართვე. რესპ. თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის გენშტაბის აკადემიაში.

დაიღუპა იქვე ტერორისტული აქტის დროს.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე
